Georgische Zeitung „SAKARTHWELO"

საქართველო

№ 36 (113) გამოც. მე-3 წელი ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი ბერლინი, 11 სექტემბერი, 1944 წ.

მომენტის მოთხოვნილება

საქართველოს მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაა. ჩვენი ქვეყანა არასოდეს მერიდებია უცხო დამპყრობ ძალას, მის შვილებს ხმალი არასოდეს ჩაუგიათ ქარქაშში და ქართულ თოფს ფალია არ გამოლევია. საქართველო თავის ძლიერ მტერთა წინააღმდეგ ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა — ხან საკუთარი ძალით, ხშირად კი უცხო ძალის დახმარებით ებრძოდა დამპყრობლებს და ამ ბრძოლაში, ადრე თუ გვიან, მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

უკანასკნელ მტერსაც, — წითელ იმპერიალიზმს, — რომელიც 1921 წელს შემოიჭრა საქართველოში, მოუსპო რა სისხლითა და ცრემლით მოპოვებული და ხმლით შენარჩუნებული თავისუფლება, ქართველი ხალხი მრავალი გზით შეებრძოლა; ეს ბრძოლები ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა, რადგან მას მოკავშირე არ აღმოაჩნდა, ვერაგი მტერი კი ძლიერი და დაუნდობელი იყო. მაგრამ ქართველ ერს იარაღი მაინც არ დაუყრია. ჰქონდა რა ცხოვრების დიდი გამოცდილება, იგი უცდიდა ხელსაყრელ მომენტს, რათა მტერს ხელმეორედ შებმოდა. ამას გვიდასტურებს ის მრავალი ათი ათასი ქართველი, რომელმაც პირველი შემთხვევისთანავე, როცა საბჭოთა რუსეთი შეეჯახა დიდ გერმანიას, ზურგი შეაქცია მას და სიმართლის მხარეზე დადგა თავისი ქვეყნის განსათავისუფლებლად. სასტიკ შეტაკებებში ბევრი ქართველი წმინდა სისხლიც დაიღვარა, ბრძოლამ კი მძაფრი, ულმობელი ხასიათი მიიღო. ამ ომში სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეჯახა ორი ძალა, რომლის შედეგზე არის დამოკიდებული არამარტო ჩვენი ქვეყნის სვებედი, არამედ საკუთარი კეთილდღეობაც.

გერმანია, ჩვენი მოკავშირე, — ვინაიდან ჩვენი მტრის მტერი ჩვენი ბუნებრივი მეგობარია, — მთელ ძალებს სჭიმავს, რათა ამ ისტორიული ჭიდილიდან, რომელიც მრავალი ათეული წლებით სწყვეტს მის მომავალსაც, გამარჯვებული გამოვიდეს. და ნუთუ აშკარა არ უნდა იყოს ჩვენთვის, რომ ქართველობასაც სჭირდება დღეს აზრისა და გონების გამახვილება, თავისი ენერგიის გაათკეცება, ბრძოლაში გამძლეობა, სიმტკიცე, ნებისყოფის გამოჩენა, რომელნიც საბოლოო ანგარიშით სწყვეტენ ომის ბედს.

ქართველი მეომარი ჩვეულია უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებას. მთელი ჩვენი ისტორია, გადახდილი უთვალავი ბრძოლები ლაღადებენ, რომ არ ყოფილა ისეთი დრო, როდესაც საქართველოს რიცხვით უპირატესობა ჰქონოდეს მტერზე. მიუხედავად ამისა, ის ხშირად ბრწყინვალედ გამარჯვებული გამოდიოდა. და თუ იგი ფიზიკურად დამარცხებულა, ეს ყოფილა მისი სულიერი გამარჯვება, ეს დამარცხება გამხდარა საწინდრად ქართველი მომავალი თაობის ხელახალი აღდგენისა, წელში გამართვისა, მტერთან კიდევ ერთხელ შებმისა და გამარჯვებისა.

ეხლაც ქართველის ბუნება არ შეცვლილა. მიუხედავად ორი ათეული წლით ბოლშევიკური რუსეთის ბატონობისა, ჩვენდა სასიხარულოდ მასში ჯერ კიდევ სჩქეფს სახელოვან წინაპართა კეთილშობილი სისხლი. ეს ნათლად გამომჟღავნდა იმ მრავალ ბრძოლებში, რომელნიც იქ, ჩვენს სამშობლოში, ქართველმა ხალხმა აწარმოვა და აქაც, ევროპის საერთო ფრონტზე დგომით, კავკასიის მთებიდან დაწყებული შერბურგამდე. ისტორიის ფურცლებზე ეს ბრძოლები აღიბეჭდა ოქროს ასოებით და იგი თაობიდან თაობას გადაეცემა, რათა გაგრძელებულ იქნას ის ჯაჭვი, რომელიც არასოდეს გაწყვეტილა და რომელსაც ჰქვია ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორია.

ბრძოლა სისხლიანი, ყველაფრის დამანგრეველი, გრძელდება. ჩვენი თაობაც თავმოლააწეული ჩაბმულია ამ ჭიდილში და თუ ოდესმე აზრი ჰქონია უკვდავი შოთას ბრძნულ სიტყვებს: „ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა, ვით ქვითკირსა", — დღესაა ჩვენზე გამოჭრილი. ამიტომაა, რომ მომენტი დღეს ჩვენგან მოითხოვს მეტ სიმაგრეს, მეტს გამძლეობას, საკუთარი რიგების შემჭიდროებას და ამ სახით ერთ სალკლდედ გადაქცევას. ვაჟკაცი იმას კი არ ეწოდება, ვინც ადვილ ბრძოლაში ივაჟკაცებს, არამედ იმას, ვინც მძიმე და რთულ მდგომარეობას გაუძლებს და თავისი მაგალითით ამხანაგსაც გაიყოლიებს, თანახმად თქმულებისა:

„გაგვიძეხ, ბერო მინდიავ,
მუხლი მოიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი,
ვისაც თავი აქვს ცხვრისაო".

უმცროსნი კი არა, არამედ ყველა ჩვენ, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა ვალდებული ვართ ამ ბრძოლის ყიჟინას გავყვეთ, ვინაიდან ჩვენი ბრძოლა არის წმინდა, იგი სწარმოებს ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ, საქართველოს თავისუფლებისათვის. ჩვენს თაობას აქვს ანდერძად მიღებული: ან ამჟამად ლელოს გატანა, ან არასოდეს!

გუდერიანის მიმართვა გერმანელი ახალგაზრდობისადმი

გერმანიის განმათავისუფლებელი მოძრაობის მეექვსე წლისთავზე გენერალ-პოლკოვნიკმა გუდერიანმა მოწოდებით მიმართა გერმანელ ახალგაზრდობას, რათა იგი შევიდეს არმიაში მოხალისედ. ახალგაზრდობის ასეულებმა თავი მოიყარეს აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარზე ცნობილი მხედართმთავრისა და ადოლფ ჰიტლერის ერთგული თანამშრომლის მიმართვის მოსასმენად. ჰიტლერის ახალგაზრდობის ხელმძღვანელი აქსმანი მიესალმა გენერალ-პოლკოვნიკ გუდერიანს, რის შემდეგ მან სიტყვით მიმართა შეკრებილთ. გენერალ-პოლკოვნიკმა მიუთითა ფრონტის ხაზის უკანდახევის აუცილებლობაზე მტრის ძალების სიჭარბის გამო. გერმანელი ჯარისკაცები მტკიცე გადაწყვეტილებით მზად არიან სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ მტერს გერმანიის ტერიტორიის საზღვრებთან. ეს ამოცანა შეიძლება წარმატებით იქნას გადაწყვეტილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანელი ხალხი, როგორც ერთი, ჩაებმება საბედისწერო ომში. გენერალმა კმაყოფილება გამოთქვა იმ დიდი სამუშაოების შესრულების გამო, რომელიც გერმანელმა ახალგაზრდობამ ჩაატარა აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარზე ძლიერი სიმაგრეების ასაშენებლად. გერმანიის ახალგაზრდობა განირჩევა მაღალი სამხედრო სულით. მისი რიგებიდან უკვე მრავალი გმირი გამოვიდა და მრავალმა თავისი სურვილით აიღო ხელში იარაღი სამშობლოს დასაცავად. ამის საუკეთესო მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „სს" სატანკო დივიზია „ჰიტლერის ახალგაზრდობა". თვით ადოლფ ჰიტლერმა გამოთქვა ამ დივიზიის მიმართ თავისი აღტაცება.

გენერალ-პოლკოვნიკმა გუდერიანმა თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „იყავით ერთმანეთის მტკიცე მეგობრები და ფიურერის ერთგულნი. ამ ომში სწყდება გერმანიის არსებობის, თქვენი მომავლისა და თქვენი ბედნიერების საკითხი. ყველა ამისათვის თქვენ ვალდებული ხართ იბრძოლოთ. ადოლფ ჰიტლერის დიადი საქმის დამთავრება თქვენს ხელშია! მე დარწმუნებული ვარ, მოწოდებაზე — „მოხალისენო, წინ!" — გერმანიის ახალგაზრდობა უპასუხებს: „აქ ვართ!"

სადაზვერვო ბარათების წინ.

ფინეთი სახიფათო გზაზე

როგორც მმართველი წრეებიდან იუწყებიან, ფინეთის მთავრობამ ინგლის-ამერიკელების ზეგავლენით მიიღო გადაწყვეტილება ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტოს გერმანიასთან და დასთანხმდეს საბჭოთა კავშირის წინადადებას.

სავსებით ნათელია ის გარემოება, რომ თეირანის კონფერენციაზე ინგლისმა და ამერიკამ ევროპა ბოლშევიკებს დაუთმეს. ისინი გახდნენ ბოლშევიკების ყურმოჭრილი მონები და ვალდებული არიან მომავალშიც შეასრულონ მათი ყოველგვარი ბრძანება. ამ ნიშნით მოხდა ინგლის-ამერიკელთა დაწოლა ფინეთზე, რომელიც აიძულეს შეეწყვიტა ყოველგვარი კავშირი გერმანიასთან და მიეღო საბჭოთა კავშირის მიერ წარდგენილი პირობა, რომელიც ჯერ კიდევ ცნობილი არ არის.

ფინეთი გამოდის ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა კავშირიდან. თურქეთთან შედარებით, მდგომარეობა სრულიად სხვაგვარია. თურქეთმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიასთან, როგორც ნეიტრალურმა სახელმწიფომ მაშინ, როდესაც ფინეთი დღემდე ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა შორის იდგა და იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის. ამიტომ ცხადია, ფინეთის მთავრობის გადაწყვეტილება მძიმე ლოდად დააწვება ფინეთის ხალხს და ბოლოს მოუღებს მის ნაციონალურ თავისუფლებას.

მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება მომხდარი ამბების განმარტება:

26 წელია მას შემდეგ, რაც ფინეთი გერმანიის დახმარებით რუსეთის 100-წლოვანი ბატონობისაგან განთავისუფლდა. 1917-18 წლებში მან საუკეთესოდ დაიჭირა გამოცდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ დრო გადიოდა და ბოლშევიკები თანდათან მეტ მოთხოვნილებას აყენებდნენ. მათ თავი პეტრე დიდის პოლიტიკის მიმდევრად გამოაცხადეს და აღიარეს თავიანთი მისწრაფება დასავლეთის ზღვებისადმი. 1939-40 წლებში ფინეთი გმირულად წინაუდგა ბოლშევიკების აღვირახსნილ ძალას და მას სასტიკი მარცხი მიაყენა, რითაც მთელი მსოფლიოს და მათ შორის ინგლის-ამერიკელთა დიდი სიმპათიები დაიმსახურა, იმ ინგლის-ამერიკელებისა, რომლებმაც დღეს ფინეთი ნადავლსავით გადასცეს ბოლშევიკებს. 1940 წ. დადებული ეგრეთწოდებული მოსკოვის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ბოლშევიკებმა ფინეთში მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები მიიღეს. ამ დღიდან, ფინეთის მცხოვრებლების ნაწილი კარგად გაეცნო ბოლშევიკების მუშაობის მზაკვრულ მეთოდებს. ამიტომ იყო, რომ 1941 წ. ფინეთი გერმანიის მხარეზე, ჩაება ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და გერმანიის დახმარებით ბრძოლით მოიპოვა ბოლშევიკების მიერ წართმეული თავისი რაიონები.

მიმდინარე წლის თებერვალსა და მარტში ინგლის-ამერიკელებმა სცადეს დიპლომატიური გზით ზეგავლენა მოეხდინათ ფინეთზე და დაეძულებინათ იგი გამოსულიყო ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა რიგებიდან. ფინეთის მთავრობა დასთანხმდა ეწარმოებინა მოლაპარაკება, მაგრამ გაეცნო რა პირობებს, რომლებიც მისთვის სრულიად მიუღებელი იყო, გადასწყვიტა განეგრძო ომი.

ზაფხულში ბოლშევიკებმა დაიწყეს რა საერთო შეტევები, ფინეთის ფრონტზე აიღეს ქ. ვიპური, დაიკავეს პეტროზავოდსკ-ვიტეგრანტის ხაზი. ივლისის შუა რიცხვებში საბჭოთა შეტევები ამ რაიონში შეჩერებულ იქნა. აღნიშნული დროისათვის ინგლის-ამერიკელებმა ხელახლა დაიწყეს დიპლომატიური გზით ფინეთზე ზეგავლენის მოხდენა და განაახლეს ნერვების ომი — განსაკუთრებით იმ წრეებზე, რომლებსაც არ გააჩნდათ წინააღმდეგობის გაწევისათვის

დასასრული მე-2 გვერდზე

თავდაცვითი ბრძოლის ერთი ეპიზოდი აღმოსავლეთის ფრონტზე.

ფინეთი სახიფათო გზაზე

საკმაო ძალა. მაგრამ ფინეთი ამ შემთხვევაშიც არ დანებდა. როდესაც ცხადი შეიქნა, რომ მოსკოვი მოითხოვდა ფინეთის არმიის სრულ კაპიტულაციას, მოლაპარაკებმოსკოვთან არ შესდგა. ფინეთის ხელისუფლებამ სთხოვა გერმანიას სამხედრო დახმარება, რაზედაც გერმანია დაუყოვნებლივ დასთანხმდა და გადასცა მას, სხვათა შორის, ტანკსაწინააღმდეგო უახლესი იარაღი. ამის შემდეგ მოხდა ფინეთის ფრონტის სრული სტაბილიზაცია.

რამოდენიმე კვირით ადრე, მძიმე კრიზისის დღეებში, ფელდმარშალმა მანერჰეიმმა მიიღო ფინეთის პრეზიდენტობა. ამკარა იყო, დიდიხნის დაწყებული საქმე ნელნელა წინ მიდიოდა და ბოლოს ყოველივეს დამთავრდა გერმანიასთან კავშირის გაწყვეტით. ასე დასრულდა გერმანია-ფინეთის სამხედრო თანამშრომლობა და მეგობრობა, რომელიც დაკავშირებული იყო ორივე ხალხის შვილების სისხლით.

გერმანიის ჯარების მთავარსარდლობა დიდიხანია თვალყურსადევნებდა ფინეთში მომხდარ ამბებს და თავის დროზე მიიღო შესაფერისი გადაწყვეტილება ჩრდილო ფინეთში მყოფი გერმანული ჯარების მიმართ.

შექმნილი მდგომარეობა სრულიად არ სცვლის გერმანიის გადაწყვეტილებას მიიყვანოს ომი საბოლოო გამარჯვებამდე.

აგენტები სლოვაკიაში

სახელმწიფო პრეზიდენტმა დოქტორმა ტისომ რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ სლოვაკიამ ხუთი წლის დამოუკიდებლობის მანძილზე თავისი ქვეყნის კეთილმოწყობის ასპარეზზე მუშაობით მიაღწია მის ისტორიაში გაუგონარ წარმატებებს. ბოლშევიკების აგენტები ცდილობენ დაარღვიონ სლოვაკიის განვითარების მყუდროება, საქმე იქამდე მივიდა, რომ სლოვაკ მუშებს, გლეხებსა და სასულიერო წოდებას სძარცვავენ და ჰკლავენ. საზოგადოების ნაძირალები ცდილობენ უწესრიგობა შეიტანონ სლოვაკიაში და ამ გზით მოუმზადონ ნიადაგი ბოლშევიზმს. ვინაიდან სლოვაკიას არ გააჩნია სათანადო სამხედრო სიძლიერე, ამიტომ ტისომ, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, ბანდიტთა მოსასპობად სთხოვა დახმარების გაწევა დიდ-გერმანიას. გერმანიის სამხედრო ნაწილების სლოვაკიაში მოსვლას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს, სახელდობრ — ბანდიტების განადგურება. დოქტორმა ტისომ თავისი სიტყვის დასასრულს განაცხადა: „სლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი თავის ადგილზე სდგას, მთავრობა თავის მოვალეობას ასრულებს და თუ თვითეული სლოვაკიც საკუთარ მოვალეობას კარგად შეასრულებს, სულ მოკლე ხანში აღდგენილი იქნება წესრიგი და მშვიდობიანობა".

განმათავისუფლებელი ომის ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

გასული კვირა აღინიშნა მნიშვნელოვანი ბრძოლებით. დიდი ქვეითი ძალებისა და სატანკო ნაწილების გამოყენებით მტერმა შესძლო საფრანგეთის დიდი ნაწილის დაკავება. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვან პუნქტებში გერმანიის ჯარები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ მტრის ყოველი მხრიდან გარშემორტყმულ ნაწილებს და მათ დიდ ზიანს აყენებენ. მაგალითად, ბრესტის სიმაგრეში მოთავსებული გარნიზონი, უკვე რამოდენიმე კვირაა გმირულად იბრძვის ინგლის-ამერიკის ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც, მიუხედავად დიდი უპირატესობისა, ვეროფერს აკლებენ თავგამოდებით მებრძოლ პატრიოტებს.

ორი დღის შესვენების შემდეგ ლონდონზე და სამხრეთი ინგლისის რაიონებზე კვლავ მძვინვარებს „VI"-ის ცეცხლი.

გერმანიის შორმსროლელმა არტილერიამ ცეცხლი გაუხსნა ინგლისის ზოგიერთ დიდი სამხედრო მნიშვნელობის მქონე ნავსადგურთა ნაგებობებს.

ჰოლანდიისა და ბელგიაში შემოჭრილ მტრის სატანკო ნაწილებთან სწარმოებს მძაფრი ბრძოლები. ქ. ანტვერპენის რაიონში გერმანიის ჯარებმა კონტრშეტევით დაიკავეს ალბერტის არხი. მტრის ცდა, გადმოესხა თავისი ჯარები ნანსის ჩრდილოეთით, მისი დიდი დამარცხებით დამთავრდა. ლე-ჰავრეს დამცველმა გერმანულმა ჯარებმა საგრძნობი ზარალით უკუაგდეს მტრის შემომტევი სატანკო ნაწილები. განადგურებულია 50 ტანკი.

იტალიის ფრონტზე, მტრის ყოველგვარი ცდა, მიიღოს რაიმე უპირატესობა, უშედეგოდ რჩება. გერმანიის ჯარები ინგლის-ამერიკელებს უდიდეს ზიანს აყენებენ და არ აძლევენ მათ წინსვლის საშუალებას. ადრიატიკის სანაპიროებზე მტერმა გამოიყენა ქვეითი და სატანკო ნაწილების დიდი შენაერთები და მოიტანა იერიში გერმანელების პოზიციებზე. ყველა ეს შეტევა უკუგდებულ იქნა. ამ ადგილებში განადგურებულია 259 ტანკი.

აღმოსავლეთის ფრონტზე, დაწყებული ფინეთის უბიდან აღმოსავლეთ კარპატებამდე, შენელებულია ბოლშევიკების საზაფხულო შემოტევები. ამ ხნის განმავლობაში აქ განადგურებულია 4.200 საბჭოთა ტანკი, 5.000 ქვემეხი და აყვანილია ტყვედ 13.000 წითელარმიელი. აღმოსავლეთ კარპატებში ბოლშევიკების შემოტევები მათი დიდი დანაკარგით უკუგდებულია. მდ. ბუგის ჩრდილოეთით მტერმა მოისურვა გერმანელების პოზიციების გარღვევა. ქვეითი ჯარების, სატანკო ნაწილებისა და საჰაერო შენაერთების შემოტევით მან მოინდომა დასახული მიზნის განხორციელება, მაგრამ გერმანიის ჯარების გმირული ბრძოლის შედეგად სასტიკად დამარცხებული უკუგდებულ იქნა. ამ რაიონში გერმანიის თავდასხმითმა ნაწილებმა გაანადგურეს 3-დან 5 სექტემბრამდე მტრის 240 ტანკი. მარტო უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში საბჭოთა ავიაციამ აღმოსავლეთის ფრონტზე დაჰკარგა 73 თვითმფრინავი.

რუმინეთში სწარმოებს დიდი ბრძოლები გერმანულ და საბჭოთა ჯარებს შორის. მტერმა შესძლო რამდენიმე ქალაქის აღება, რაც მას უდიდეს დანაკარგად დაუჯდა.

განიარაღებული რუმი ნელების მკვლელობა

მე-8 რუმინულმა მესაზღვრე პოლკმა, რომელიც გრუმესისტში იდგა, რუმინეთის გამცემი ახალი მთავრობისაგან მიიღო ბრძანება საბჭოების წინაშე იარაღის დაყრისა და მათი მოკავშირეებად გახდომის შესახებ. ბრძანების საფუძველზე ამ პოლკის მე-2 ათასეული, რომლის შემადგენლობაში 600 ჯარისკაცი შედიოდა, წინწამოსულ ბოლშევიკებს ტყვედ ჩაბარდა. დამმობილება გამართლებული იყო ხელის ჩამორთმევით და არყის დალევით. ამის შემდეგ ათასეულმა მიიღო ბრძანება კრაკანის გზაზე შემოსული საბჭოთა ნაწილის გვერდით მოწყობილიყო. დაბა კრაკანში მოსვლისას ბოლშევიკებმა უეცრად სროლა დაუწყეს ამ განიარაღებულ რუმინულ ათასეულს და დახოცეს 582 კაცი. გადარჩენა მახლობელ სოფლებში მოასწრო მხოლოდ 18 ჯარისკაცმა.

ამ საშინელ ამბავს ვერავინ ვერ გაიგებდა, რომ ერთერთი ჯარისკაცი, გვარად ვრენციანუ, არ გადარჩენილიყო და არ მოსულიყო გერმანელთა პოზიციებზე.

•

უნგრეთის საინფორმაციო ბიურო სტამბულიდან იუწყება: საბჭოთა წრეები ადასტურებენ რუმინეთის ცნობას იმის შესახებ, რომ რუმინელი მუშების პირველი კონტინგენტი 1.400.000 კაცის რაოდენობით შეგროვილია და იგზავნება საბჭოთა კავშირში.

1,4 მილიონი რუმინელის ციმბირში წაყვანა წარმოადგენს მეფე მიხეილის გამცემლობის შედეგს.

ომის უკანასკნელი ფაზის საიდუმლოება

„დაახლოვებით ექვსი თვის შემდეგ ჩვენთვის ნათელი გახდება ის, რის შესახებაც ასე ცოტა ვიცით დღეს: მიმდინარე ომის უკანასკნელი ფაზა საიდუმლოებით არის მოცული და გასულ სამ თვეს — ივნისს, ივლისსა და აგვისტოს სინამდვილეში სრულიად სხვა მნიშვნელობა ჰქონდათ, ვიდრე ამას მრავალი ჩვენგანი ჰფიქრობდა".

ასეთი სიტყვებით იწყება „ბერლინერ ბერზენ ცაიტუნგში" მოთავსებული მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო წერილი სათაურით: „ომის უკანასკნელი ფაზის საიდუმლოება". მომავალი ბურუსით არის მოცული. მაგრამ წარსულის ფხიზელი ანალიზი საშუალებას გვაძლევს ბურუსის გარკვეულ დონემდე გასაფანტავად. ავტორი, უკეთებს რა ანალიზს დღევანდელი ომის უკვე გასულ ფაზებს, [illegible]რადლებას აქცევს მის მიმდინარეობაში ერთ მნიშვნელოვან კანონზომიერებას და ადარებს მას ოკეანის ტალღების მოძრაობას.

ომის პირველ ფაზაში მთელი უპირატესობა ხმელეთზე, ჰაერში და ზღვაზე (წყალქვეშა ნავები) გერმანიის მხარეზე იყო. ამ ფაზის დამთავრებისას, ინგლისი წარმოადგენდა დასუსტებულ და ლოდინბდილ სახელმწიფოს, ხოლო გერმანიამ მთელი ევროპა დაიკავა. საბჭოთა კავშირის გაძლიერებამ რომ არ დაარღვია ხელშეკრულება და კომინტერნს არ მიიღო გადაწყვეტილება — შეიარაღებული ძალით განეხორციელებინა მსოფლიო რევოლუცია, ომი დიდიხანია ინგლისის დამარცხებით დამთავრდებოდა. მაგრამ საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებამ საშუალება მისცა ინგლისსა და ამერიკას, რომლებიც თავიდანვე არაოფიციალურად მიეხმარნენ ბოლშევიკებს, მომზადებულიყვნენ ომის მეორე ფაზისათვის, რომლის აშკარა ნიშნის ქვეშ ჩატარდა 1943 წლისა და 1944 წლის პირველი ნახევარი.

ომის მეორე ფაზა აღინიშნა მოკავშირეების ცხადი უპირატესობით ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში, გერმანია იძულებული იყო დაეთმო მათთვის ომის პირველ ფაზაში დაკავებული ფართობი და ქალაქები. ამას დაერთო ისიც, რომ ინგლის-ამერიკის საჰაერო შენაერთების მიერ დანგრეულ იქნა თვით გერმანიის მრავალი ქალაქი.

გერმანია ვალდებული იყო ლიკვიდაცია მოეხდინა მოკავშირეების მიერ ყველა ფრონტზე შექმნილი უპირატესობისათვის და მომზადებულიყო ომის მესამე ფაზისათვის. ეს ფაზა დაიწყო 1944 წ. 16 ივნისს, როდესაც „VI"-ის მფრინავმა ბომბებმა პირველად მიიღეს მიმართულება ლონდონისა და სამხრეთი ინგლისისაკენ. სწორედ ამ მომენტში მოკავშირეების მიერ ძალების გამოყენება როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში აღწევდა უმაღლეს დონეს. მოწინააღმდეგეს ალმოაჩნდა შესაძლებლობა გიგანტურ ბრძოლებში ჩაება უდიდესი სამხედრო ძალები და სამხედრო ტექნიკის სრულიად წარმოუდგენელი რაოდენობა.

ომის მესამე ფაზის დასაწყისში გერმანიის სამხედრო მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე საბჭოთა კავშირისა, როცა იგი გერმანიის ჯარები მოსკოვთან იყვნენ ანდა ინგლისელებისა, დუნკირხენთან დამარცხების შემდეგ. ბრძოლის ხაზი უახლოვდება გერმანიის თავდაცვის შინაგან წრეს, რასაც თავისი უპირატესობაც აქვს. რამდენიმეჯერ მოკლდება ფრონტის ხაზი (სათადარიგო ჯარების განთავისუფლება!) და მნიშვნელოვნად მარტივდება საკითხი ფრონტის ყოველმხრივ უზრუნველყოფის ისე, როგორც იტალიაში, სადაც, მიუხედავად ბადოლიოს ღალატისა, გერმანელებმა შესძლეს ძლიერი ფრონტის შექმნა, აქაც მოხდება ახალი ფრონტის სრული სტაბილიზაცია.

„დროისათვის ბრძოლა" ღებულობს უფრო-დაუფრო მწვავე ხასიათს. მოკავშირეების 1944 წლის სეგიემდე მისული შემოტევები სრულიად არ წარმოადგენს ძალების დარტყმას, არამედ აუცილებლობისა და პანიკური შიშის უმაღლეს წერტილს. ამ რამოდენიმე დღის წინათ ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრის მორისონს პარლამენტში წამოსცდა შემდეგი წინადადება, რომელიც ნაწილობრივ ნათელს ჰფენს ინგლისელების სამხედრო ოპერაციებს. მან სიტყვა-სიტყვით შემდეგი განაცხადა: მე ვიცი უსაშინელესი ამბები, რაც არსებითად ნიშნავს: მე გავიგე იმ საიდუმლო იარაღის ძალის შესახებ, რომელიც გერმანიას გააჩნია, მაგრამ რომელიც ჯერკიდევ არ გამოუყენებიათო. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩერჩილი • გახელებული დარბის ფრონტიდან ფრონტზე და ყველა შესაძლებლობით ერეკება თავის გენერლებს, რადგან მან ომის მეორე ფაზის ბოლოს ვერ მიაღწია დასახულ მიზანს. ჩერჩილმა იცის, რომ ის გიგანტური ნახტომი, რომელიც მან გააკეთა, საკმარისი არ არის ამ ბრძოლის მოგებისათვის და რომ ომის მესამე ფაზას დიდი საიდუმლოება მოჰყვება. გარდა ამისა, მან იცის დანიშნული დროც კი, რომელიც ჩვენ და ჩვენმა ფართო მასამ არ იცის და არც შეიძლება იცოდეს.

აღნიშნული წერილის ავტორი, სს-ის ნაწილების სამხედრო კორესპონდენტი იოაჰიმ ფერნაუ, აღნიშნავს, როგორ უპოვეს ერთერთ ინგლისელ სამხედრო ტყვეს შარშანდელი ინგლისური ჟურნალები, რომლებშიც მართალია არაზუსტად, მაგრამ დაახლოვებით აღწერილი იყო ეხლა უკვე მსოფლიოსათვის ცნობილი შურისძიების იარაღი „VI". როდესაც ავტორმა დაინახა ეს მეტად საინტერესო დოკუმენტი, მისთვის ნათელი შეიქნა შემდეგი:

1. ჩერჩილმა ადრევე იცოდა გერმანიის ძლიერი იარაღის შესახებ.

2. მან ვერ შესძლო წინააღმდეგობა გაეწია ამ იარაღის წარმოებისათვის.

3. მან ვერ შესძლო გამოეგონებინა რაიმე მსგავსი იარაღი.

4. მან ვერ მონახა ვერავითარი საშუალება ამ იარაღისაგან თავდასაცავად.

5. ჩერჩილმა იცოდა, როდესაც აღნიშნული იარაღი მზად იქნებოდა, დაიწყებოდა ომის მესამე ფაზა და ამ მომენტიდან გერმანია, ისე როგორც ინგლისი 1943 წელს, თავიდან დაიწყებდა ომს.

ჩერჩილმა იცოდა რა „VI"-ის არსებობის შესახებ, იცის აგრეთვე, მორისონის გამოთქმისა არ იყოს, „სხვა უსაშინელესი ამბების" შესახებაც. მან იცის კიდევ ერთი, მისთვის მართლაც უსაშინელესი ამბავი ვადების შესახებ. მას ომი გერმანიასთან 1943 წ. უნდა დაემთავრებინა, მაგრამ გავიდა 1943 წ. და 1944 წლის ნახევარიც. ჩვენთვის ნათელი გახდება, რა მნიშვნელობა აქვს დროს, თუ აქ მოვიყვანთ ადგილებს ჩერჩილის მიერ ჩატარებული ინტერვიუდან: „მიმდინარე ომი შემოდგომაზე უნდა დავამთავროთ, თორემ..." და მან თავისი სიტყვა არ დაამთავრა—მაგრამ ის ჩვენ შეგვიძლია გავაგრძელოთ: თორემ გერმანია ჩვენ კარგ დღეს არ დაგვაყრის. მართლაც, საჭიროების მომენტში გამოყენებული იქნება ის შურისძიების იარაღები, სრულიად შეცვლება ომის არსებულ სახე და შორს არ არის ის დღე, როდესაც გერმანიის იარაღი დამსახურებულ გამარჯვებას იზეიმებს.

ბრძოლა სამშობლოსათვის

მოგონებანი აგვისტოს აჯანყებაზე *

პოდპოლკოვნიკი ს. ზალდასტანიშვილი

9.

კახეთ-ხევსურეთის აჯანყებამ თურქეთის მთავრობაში ლაპარაკი გამოიწვია. ამ დროს სტამბოლში იმყოფებოდა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი შ. ქარუმიძე, რომელმაც ისარგებლა საქართველოში შექმნილი მდგომარეობით და მოლაპარაკება დაიწყო თურქეთის მთავრობის წევრებთან. მოლაპარაკების დროს გამოირკვა, რომ თურქები თანახმა იქნებოდნენ ჯარით და იარაღით დახმარებოდნენ აჯანყებულებს, თუ ქართველები შეასრულებდნენ შემდეგ პირობებს: 1. ბათუმს თავისუფალ ქალაქად გამოაცხადებდნენ; 2. ახალციხე-ახალქალაქის ვილაიეთები თურქეთის საკუთრება გახდებოდა; 3. ბათუმ-ბაქოს რკინიგზის ხაზი ექსტერიტორიულად იქნებოდა აღიარებული და სხვ. ცხადია, შ. ქარუმიძისათვის ეს პირობები მიუღებელი იყო, მაგრამ მან თავი მაინც ვალდებულად ჩასთვალა აღნიშნული მოლაპარაკების შესახებ თბილისში პარტიის მთავარი კომიტეტისათვის ეცნობებინა. ამ დავალებით 1922 წლის სექტემბერში სტამბოლიდან საქართველოში მე გამგზავნეს. პარტიის თავმჯდომარე გენ. აბხაზთან შეხვედრა მქონდა „მწყემსის" საზოგადოებაში. მან კატეგორიულად უარყო თურქეთის პირობები: „ქართველი ხალხისათვის ამგვარი პირობები მიუღებელია, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ჩვენ ჯერჯერობით საკუთარ ძალებს დავეყრდნობით, და თუ ქართველ ხალხში საკმარის ძალებს ვერ გამოვნახავთ, მაშინ ცხადია, ყველა ჩვენი გამოსვლა ძალდატანებითი იქნება და უნაყოფოდ ჩაივლის; ვისაც ჩვენი მეგობრობა სურს, დახმარება ყოველგვარი ინტერესების გარეშე უნდა გაგვიწიოს" — დასძინა გენერალმა. ასეთივე აზრი გამოსთქვა თურქეთის წინადადებებზე მთავარი კომიტეტის წევრმა ივ. ჯავახიშვილმა და მასთან ერთად მთელმა პარტიამ. ეს აზრი ეცნობა საზღვარგარეთის კომიტეტს.

10.

კახეთ-ხევსურეთის აჯანყების შემდეგ საქართველოში რამდენსამე თვეს სიჩუმე ჩამოვარდა. თითქმის ერთდროულად საქართველოში სტამბოლიდან ჩავიდა ნ. ხომერიკი, რომელმაც თავის წრეში მუშაობა გააცხოველა. 1923 წლის იანვარში უკვე ყველა პარტიამ ხელახლა გააჩაღა მუშაობა და მთელ საქართველოში მან მიიღო ორგანიზაციული ხასიათი.

თბილისში „დამკომი" და სამხედრო ცენტრი გახდა მეამბოხეთა მთავარი ორგანო. როგორც თბილისში, აგრეთვე პატარა ქალაქებსა და სოფლებში, დაარსეს გაერთიანებული ორგანოები, სადაც დაინიშნენ „დამკომისა" და სამხედრო ცენტრის წარმომადგენლები.

1923 წლის იანვრის პირველ რიცხვებში ეროვნ.-დემოკრ. პარტიის დავალებით ვენახულე თელავის მაზრაში ქაქუცა ჩოლოყაშვილი, გავაცანი საერთაშორისო მდგომარეობა, აგრეთვე „დამკომისა" და სამხედრო ცენტრის მიერ დაწყებული მუშაობა. აღვნიშნეთ კახეთ-ხევსურეთის გამოსვლის სუსტი მხარეები. ამ დღიდან ქაქუცა თავისი რაზმით გადავიდა „დამკომის" განკარგულებაში. მან პირობა მოგვცა, გამოსვლას მხოლოდ „დამკომის" დასტურით მოახდენდა.

მართალი უნდა ითქვას, მთელი ორი წლის განმავლობაში ეს პირობა მის მიერ არ ყოფილა დარღვეული, იგი, ადგილსაც რომ იცვლიდა, ამასაც კი სამხედრო კომისიას უთანხმებდა. იარაღის, ტანსაცმლისა და ფულისთვის ზრუნვაც სამხედრო კომისიას ეხლებოდა. ფულით „დამკომი" მუდამ ღარიბი იყო და ამიტომაც ქაქუცა თავის რაზმელებთან ერთად გაჭირვებას გაზიარებდა.

11.

ხელისუფლება დიდხანს ეძებდა კახეთ-ხევსურეთის აჯანყების ხელმძღვანელებს. ამბობდნენ, რომ 1923 წლის თებერვალში ეროვნულ-დემოკრ. პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრებს კალე მისამართზე გასცეს სამხედრო ცენტრის მთელი შემადგენლობა, ეროვნულ-დემოკრ. პარტიის დუშეთის წარმომადგენლობა და ამასთან გამოაამჟღავნა პოლკ. რ. მუსხელიშვილის როლით. მარტში თითქმის ყველა, ვინც ამ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა, დაპატიმრებულ იქნა. 1923 წლის აპრილში ეროვნ.-დემოკრ. პარტიის სამხედრო კომისიაში დაისვა საკითხი, როგორ უნდა მოვქცეულიყავით ამ შემთხვევაში, უკეთუ სამხედრო ცენტრის წევრებს გენ. აბხაზთან ერთად სიკვდილს მიუსჯიდნენ. გადავწყვიტეთ შეგვედგინა განსაკუთრებული რაზმი, რომელიც ღამით დაეცემოდა ჩეკას და პატიმრებს გაანთავისუფლებდა. ამ ამოცანის შესრულება ვიკისრეთ მე და გიორგი წინამძღვარიშვილმა. მაისის პირველ რიცხვებში რაზმი უკვე მზად იყო როტმისტრი ვ. ყარანგოზიშვილის მეთაურობით. იგი „დამკომის" გადაწყვეტილებას ელოდა.

„დამკომში" ყველა არ ემხრობოდა ამ ამოცანის შესრულებას. ამასობაში ჩეკამ გაიგო როტმისტრი ვ. ყარანგოზიშვილის მოქმედება და მას დასაპატიმრებლად ეძებდა. თბილისში მისი დარჩენა შეუძლებელი იყო, გადავწყვიტეთ მთელი რაზმი ქაქუცასთან გაგვეგზავნა. ამ რაზმისათვის იარაღი საწყობიდან გამოვიტანეთ, ორ სანდო რაზმელს ჩავაბარეთ და იმ ღამესვე ქაქუცასთან დუშეთისკენ გავისტუმრეთ.

როტმ. ყარანგოზიშვილის ერთი რაზმელთაგანი, ვინმე შ. კანდელაკი, ჩეკიდან მოგზავნილი გამოდგა და ყველა ცნობას თურმე ჩეკას ატყობინებდა. სანამ ყარანგოზიშვილი თბილისში იმყოფებოდა, საიდუმლოს სასტიკად იცავდა და მის რაზმელთა შორის არავინ იცოდა, ვისთან ჰქონდა მას დამოკიდებულება, მაგრამ ქაქუცასთან რომ ჩავიდა, დაავიწყდა თავისი

ქვემეხის გათვლა მზად არის მოქმედებისათვის.

მოვალეობა და გულახდილად უამბო საკუთარი თავგადასავალი. ამასთან არც ჩვენი გვარები დაუმალავს. ჩეკიდან მოგზავნილებს მეტიც არ უნდოდათ, იმ ღამესვე თელავში გაიპარნენ და იქიდან ტელეფონით ჩეკას ცნობები გადასცეს. ჩეკამ იმავე დღეს ჩემი უდანაშაულო ძმები და მათთან ერთად ბევრი სხვაც დააპატიმრა.

თვით როტმისტრ ყარანგოზიშვილს პარტიზანული ბრძოლა გაუძნელდა და იძულებული ხდებოდა ხშირად ქაქუცას რაზმელებს ჩამოშორებოდა. შემოდგომაზე ქაქუცა მთიულებთან მიეშურებოდა, რათა მათს წარმომადგენლებს შეხვედროდა. როტმისტრი ყარანგოზიშვილი მას გზაში ჩამორჩა. ქაქუცამ მასთან ს. კვალიაშვილი დასტოვა და [illegible]

1923 წლის 19 მაისს, ჩეკის დადგენილებით დახვრეტილ იქნენ: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გენ. კ. აბხაზი, გენერალური შტაბის წევრი გენ. ა. ანდრონიკაშვილი, გენერალი ვარდენ წულუკიძე, პოლკოვნიკები — რ. მუსხელიშვილი, გოგი ხიმშიაშვილი, ელიზბარ გულისაშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, დიმიტრი ჩრდილელი, როტმისტრები — სიმ. მუხრან-ბატონი, ფ. ყარალაშვილი, ლეიტენანტი ლ. კლიმიაშვილი, სამხედრო მოხელე მ. ზანდუკელი, იასონ კერესელიძე, ს. ჭიაბრიშვილი და იგ. ქუთათელაძე.

12.

ყველა ეს დანაკარგი ქართველმა ხალხმა ღრმად განიცადა, ყველა სტიროდა დახვრეტილებს. ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც სრულიად საქართველოს კათალიკოსი დიდიხნის პატიმრობის შემდეგ ციხიდან გამოუშვეს. მან გადაწყვიტა ქაშვეთის ტაძარში სამი წირვა გადაეხადა. ეს ხმა უცებ მთელ თბილისს მოედო და პირველ კვირას აურაცხელი ხალხი დაესწრო წირვას. გამოვიდა თუ არა კათალიკოსი, ხალხი მუხლმოდრეკილი და ქვითინით შეხვდა თავის სულიერ მამას. კათალიკოსი აღელდა, თვალი ცრემლით აევსო, გადმოგვხედა ყველას და წარმოსთქვა: ვინ სთქვა, რომ ქართველმა ხალხმა რწმენა დაკარგაო. ამ სიტყვებზე მას გული წაუვიდა და დაეცა. დეკანოზმა ცინცაძემ ხალხში ექიმებს მიმართა. იმ წუთშივე რამდენიმე ექიმი მიეშველა და კათალიკოსი გონს მოიყვანეს. წირვა მან მაინც დაასრულა ხალხის ქვითინში.

რას ელოდებოდა ტანჯული ხალხი ღმერთის და ჩეკაში ფიზიკურად დასუსტებულ კათალიკოსს? ეს უთქმელადაც ადვილი მისახვედრია. ქართველ ერს სანუგეშოდ მხოლოდ სულიერი მეთაურიღა შერჩენოდა და როგორც შვილი მშობლისაგან, ნუგეშს ელოდა. კათალიკოსმა მშვენივრად იგრძნო ხალხის განცდა და სათნოებით, ნუგეშით სავსე სიტყვებით მოგვმართა, გაგვამხნევა. გულჩათხრობილნი მშვიდობიანად დავიშალეთ. თვითონ იგი დაღლილი, დაქანცული, სიცხიანი დაბრუნდა შინ და იმ დღიდან ლოგინად ჩავარდა. ტანჯულმა სხეულმა ავადმყოფობას ვერ გაუძლო და მალე გარდაიცვალა. კათალიკოსი მოკვდა განუსაზღვრელი რწმენითა და უდიდესი სიყვარულით სამშობლოსადმი.

ასე დაობლდა მთელი ქართველი ერი. რუსთა თარეშმა გაუგონარ ზომას მიაღწია საქართველოში.

13.

გამწარებულმა ხალხმა უფრო მეტი ენერგიით დაიწყო მზადება საერთო აჯანყებისათვის. სამხედრო ცენტრის ნაცვლად „დამკომთან" შეიქმნა სამხედრო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: „დამკომის" თავმჯდომარე, სოც.-დემოკრ. კ. ანდრონიკაშვილი, მისი თანაშემწე ეროვ.-დემოკრ. ი. ჯავახიშვილი, სოც.-დემ. გ. ფალავა და ვ. ნოდია, ეროვნ.-დემოკრ. გიორგი წინამძღვარიშვილი და მე.

მოქმედების გეგმა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: პოლიტიკური მუშაობა ხალხში იკისრეს კ. ანდრონიკაშვილმა და ი. ჯავახიშვილმა; სამხედრო მუშაობა დაევალა დანარჩენ ოთხს — გ. ფალავა და ნოდია ითანამშრომლებდნენ სოც.-დემოკრატიულ პარტიაში, გ. წინამძღვარიშვილი და მე — ეროვნ.-დემოკრატიულ პარტიასა და ოფიცერთა შორის. მუშაობის მანძილზე ოთხსავეს მუდმივი კავშირი გვქონდა ერთმანეთთან. დროგამოშვებით სამხედრო კომისიაც თავს იყრიდა ანგარიშის ჩასაბარებლად და მდგომარეობის გამოსარკვევად.

სამხედრო კომისია თავისი მუშაობის დამთავრების შემდეგ აჯანყების საკითხს „დამკომში" სვამდა, გაფართოებული „დამკომი" პოლიტიკური პარტიების თავმჯდომარეებთან ერთად პრინციპულად სწყვეტდა აჯანყების საკითხს.

აჯანყების დაწყება უნდა დაევალებოდა გამოსვლის წინ დანიშნულ მთავარსარდალსა და მის შტაბს.

14.

როგორ სწარმოებდა სამხედრო მუშაობა? 1923 წლის აპრილში მე და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სხვა წევრმა მოვაწყვეთ საიდუმლო სამხედრო კრებები და წავიკითხეთ შექმნილი მდგომარეობის შესახებ მოხსენება. დაესწრნენ ყველა იარაღის წარმომადგენლები. კრებამ მთლიანად გაიზიარა ქართული პოლიტიკური პარტიების მიერ დასახული აჯანყების გეზი. ამ კრებაზე გამოირკვა, რომ ოფიცრებისათვის ხალხსა და ჯარში მუშაობა სახიფათო და უნაყოფო იქნებოდა. ამიტომ ფუნქციები განაწილებულ იქნა. ოფიცერთა შორის მუშაობასა და მათს დარაზმვას თვითონ ოფიცრები კისრულობდნენ, სამხედრო კომისიას კი ევალებოდა ჯარში მუშაობა, ხალხის დარაზმვა და მისი შეიარაღება, დანიშნულ დროს დარაზმული ხალხის დანაწილება და აჯანყების წინადღეებში ოფიცრობის დაკავშირება ხალხთან. ამავე კრებაზე მიღებული იყო აჯანყების გეგმა. მთავარი დარტყმა უნდა მომხდარიყო თბილისსა და ბათუმზე. საამისოდ გეგმა დაწვრილებით სამხედრო შტაბს უნდა დაემუშავებინა უკანასკნელ დღეებში.

კრების დასასრულს წაკითხულ და მიღებულ იქნა ფიცი, შედგენილი გ. წინამძღვარიშვილის მიერ (ეს ფიცი მიღებული ჰქონდა აგრეთვე მთელ ნაც.-დემოკრ. სტუდენტთა რაზმს და იგივე ფიცის ტექსტი ჩემს მიერ იყო გაგზავნილი ქაქუცასთან როტმისტრ ყარანგოზიშვილის საშუალებით 1923 წლის მაისში, ამ დღიდან ქაქუცას რაზმს „შეფიცულთა რაზმს" უწოდებდნენ).

სამხედრო კომისიამ მიიღო თავისი ამოცანები და მათს შესრულებას შეუდგა. რამდენსამე თვის განმავლობაში ქალაქები და სოფლები დაყოფილ იქნა რაიონებად, აღნიშნულ იქნა მთავარი წერტები, რომლებიც დანიშნულ დროზე უნდა აეღოთ. დამკვრელი რაზმის უფროსებს დაევალათ თავიანთი წერტების დაწვრილებითი შესწავლა და გამორკვევა იმისა, თუ რამდენი ძალა დასჭირდებოდა თვითეულს თავისი წერტის დასაკავებლად.

თბილისი დაყოფილი იყო შემდეგ პუნქტებად: სამთავრობო (არტილერიის ყაზარმები); ვაკე (კურსანტები); ფოსტა, ტელეგრაფი; ჩეკა; რკინიგზის არსენალი; ელექტრო- და სატელეფონო სადგურები; ჯავშნიანი ავტომობილები და ჯავშნიანი მატარებლები.

ყველაზე სუსტად იყო საქმე საავიაციო გუნდში. მაიორ სიკო დადიანიშვილის სიკვდილის შემდეგ უშუალო ოფიცრები მეშვეობით ჩარევის ერიდებოდნენ.

ასეთსავე სისტემით დაყოფილ იქნა საქართველოს ყველა პატარა ქალაქი და სოფელი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

*გაგრძელება. იხ. „საქართველო" № 35 (112)

დამატებითი ძალები ფრონტისათვის

ტოტალური მობილიზაციის რაიხსრწმუნებულის დოქტორი გებელსის უკანასკნელი განკარგულების დაწვრილებითი ცნობები

[illegible]

1. [illegible]

2. [illegible]

3. [illegible]

4. [illegible] (1944 წლის 16 ოქტომბრიდან) [illegible]

5. [illegible]

6. [illegible]

7. [illegible]

ბოროტმოქმედება წითელი ჯვრის ბაირაღით

[illegible] 1943 წლის 15-25 ოქტომბერს [illegible]

მამაცი გერმანელი მეტყვიამფრქვეველი საველე ზღუდეზე.

ვარდის ქალწული

მოხ. ვ. უროტელი

[illegible]

*

გზა

მოხ. აშური

[illegible]

თბილისი, 1936 წ.

მოგონებათა რვეული

საქართველოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხანიდან

გ. გერმანული ფარი

თურქების რკალში

1917 წელს ოქტომბრის გადატრიალებამ რუსეთში [illegible]

ისტორიული სხდომა

[illegible]

[illegible]

ასეულის მუშაობა ღამით

საკუთარი კორესპონდენტისაგან

მუშათა ასეული, რომელშიც მე ვირიცხები, მთლიანად ქართველებისაგან შესდგება. ჩვენ შევდივართ გერმანულ მუშათა ათასეულში და ვასრულებთ სასანგრო სამუშაოებს აღმოსავლეთის ფრონტის ერთერთ უბანზე.

სამუშაო დიდია და საპასუხისმგებლო. ძირითადად ღამით ვმუშაობთ, დღისით კი ვისვენებთ. ჩვენს საქმიანობას შეადგენს სანგრების, თხრილებისა და სხვა სახის თავსაცავების ამოჭრა, მოწყობა და გადახურვა. ქართველი ბიჭები განსაკუთრებული ხალისითა და ენერგიით ასრულებენ ამ საპატიო დავალებას.

მუშაობაში აქტიობისა და სიბეჯითის გვერდით, ჩვენი მოხალისენი არც სიფხიზლეს ივიწყებენ, რადგან მათ კარგად იციან, რომ ფრონტის ზურგში ჯერკიდევ დაძრწიან მოგზავნილი ჯაშუშები, ჯაშუშები და ბანდიტთა ნარჩენები. ქართველი მებრძოლის ფხიზელ თვალსა და მახვილ მხედველობას ძნელია გამოეპაროს ვინმე, სამტროდ მოსული.

ერთი ასეთი შემთხვევა ამასწინათ მოხდა. ქართველ მესანგრეთა ჯგუფი სანგრების თხრაზე მუშაობდა. უეცრად მათ სამი უცნობი გამოეცხადა; ისინი სხვადასხვა კითხვებით სცდილობდნენ მათთვის საინტერესო ცნობების მიღებას. მოხალისენი ადვილად მიუხვდნენ განზრახვას. ერთმა ჩვენგანმა ეშმაკობა იხმარა: სიამოვნებით იკისრა მათი მიყვანა იმ ადგილამდე, რომელიც ჯაშუშებს აინტერესებდათ. ისინი დასთანხმდნენ. ნახევარი საათის სიარულის შემდეგ ქართველმა მოხალისემ უცნობებს, რომლებიც ეროვნებით რუსები გამოდგნენ, აუხსნა, რომ ისინი უკვე იმყოფებიან ათასეულის შტაბის სადგომის წინ. ეხლა კი მიხვდნენ ჯაშუშები თავიანთ შეცდომას, მაგრამ გვიანღა იყო. სამივე რუსი ათასეულის შტაბს გადაეცა. მოხალისემ, რომელმაც ჯაშუშები მოიყვანა, შტაბის სადგომში შეყვანის წინ შემდეგი სიტყვებით მიმართა მათ:

— დაე დარწმუნდეს ქართველი მოხალისის ყველა მტერი, რომ ჩვენ სიკვდილამდე ერთგულნი ვართ გერმანული სარდლობისა და გერმანელი ხალხისა. მაშინ უნდა მოკვდეს ქართველი მოხალისე, რუსმა დივერსანტმა შეცდომაში რომ შეიყვანოს!..

ჩვენ გვგონია, ეს აზრი ყველა ქართველი მოხალისის აზრიცაა.

მოხ. ბ. ჰ.

მტკიცედ შევინახოთ ახალი იარაღის საიდუმლოება

პრესაში მოთავსებული იყო გერმანიის იარაღის „V1"-ის ფოტოსურათები. ეს ცნობები გამოქვეყნებული იყო იმის შესაბამისად, რაც ინგლის-ამერიკულმა წრეებმა „V1"-ის შესახებ შეიტყვეს საკუთარი დაკვირვებებით. მიუხედავად ამისა, „V1"-ის დამზადების ტექნიკური ცნობები ან მისი მართვის მეთოდი მტრისთვის ჯერჯერობით სრულიად უცნობია. ინგლის-ამერიკელები ყოველნაირად სცდილობენ გაიგონ მათთვის საინტერესო საიდუმლოებანი, რის გამო თითოეული გერმანელისა და გერმანიაში მცხოვრებ ხალხთა მოვალეობაა ძველებურად დაიცვან **სამარისებური სიჩუმე** ყველაფერ იმაზე, რაც მათთვის ცნობილია „V1" და სხვა გერმანული იარაღების შესახებ.

700 კილომეტრი ფეხით

გერმანიის არტილერიის კაპიტანმა, 27 წლის ვერნერ კრაცმა შესძლო განსაკუთრებული ლაშქრობის ჩატარება. ივნისში ვიტებსკთან იგი თავის ნაწილს მოსწყდა და 47 დღის განმავლობაში მარტოდმარტო მიდიოდა გერმანიის ფრონტის მიღწევის მიზნით. გზაში იგი ყოველწუთას საფრთხის წინაშე იმყოფებოდა, მიუხედავად ამისა, კრაცმა 700 კილომეტრი გაიარა და მოაღწია გერმანიის პოზიციებს. მაგარი ნებისყოფა შეელოდა მას ამ ლაშქრობის წარმატებით დამლევის საქმეში, რომელიც მისგან მოითხოვდა აგრეთვე მთელი მისი ფიზიკური და სულიერი ძალების დაძაბვას.

პარტიზანები საბჭოთა კავშირში

ბარანოვიჩთან ტყეში ჩავარდნილი წითელარმიელი მოგვითხრობს უკრაინაში საბჭოთა რაიონების ტრანსპორტზე პარტიზანების დაცემის შემთხვევების შესახებ. მატარებელს, რომლითაც თვით წითელარმიელი მიდიოდა, უეცრად დაეცნენ პარტიზანები. მგზავრთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა თავისთვის ეშველა.

მოგზაურობა გერმანიაში

მოხ. ბ. რიონელი

[illegible]

„პიზონთან ბრძოლა" — ქანდაკება ბერლინის ტირგარტ[ე]ნში.
ფოტო მოხ. ვ. ხოფერიულის.

[illegible]

საზღვრისპირა ავტოსტრადა ბერჩესგადენში.
ფოტო მოხ. ვ. ხოფერიულის.

დასასრული იქნება

კარიკატურის კუთხე

მხურვალე სიყვარული

ცეკვა უსიტყვოდ

სცენა პირველი

სცენა მეორე

ღამე სტამბოლში

ჯონსონდოლუტრაძე კათრიბა და იზრამიდება ბერმანიის მოზარდი თაობა, იზრდება სამშობლოს დამცველი მამაცი ახალგაზრდობა. სურათზე (მარცხნივ — ზევით): ჩვეულებრივი შეჯიბრება რბენაში. (ქვევით): ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა მარჯვიში. (მარჯვნივ): საჭულოსნო საოჭრის მიმზიდველი სახე — აფრიანი ნავების მართვა.

...ნარევი

„მუსიკა სფეროდან"

[illegible] ... ჩვენ ვიგებთ 26 წლის შემდეგ, ე. ი. 1970 წელს.

„წმინდა ელენე"

[illegible] ... „წმინდა ელენე — პატარა კუნძული" ... 1779 წელს. 1815 წ. 11 აგვისტოს ... „წმინდა ელენე პატარა კუნძულზე".

ამერიკელი ქალის თავდაცვითი საშუალება

[illegible]

მაკრატელი მუცელში

[illegible]

კატამ მიიღო მემკვიდრეობა 100.000 დოლარის რაოდენობით

[illegible] ... მან მიიღო 60.000 დოლარი, ხოლო მისმა მომვლელმა ქალმა — 40.000.

ოპერაციები მუსიკით

[illegible]

აგვისტოს აჯანყების 20 წლისთავის აღსანიშნავი კრება

29 აგვისტოს ბერლინში მოეწყო ქართული კოლონიის კრება, მიძღვნილი აგვისტოს აჯანყების 20 წლისთავისადმი. [illegible]

*

გაფრთხილება ცნობის-მოყვარეებისადმი

[illegible] ... 24 კაცი და დაიჭრა 10. [illegible]

შეამოწმე შენი ცოდნა

კითხვები:

1. რომელ ქვეყანაში ასწავლიან ბავშვებს წერას როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ხელით?
2. რას წარმოადგენს არსებითად მეტეორი?
3. რომელ წელს მოხდა [illegible] პირველი სტენოგრაფიული ჩაწერა?
4. ვინ ააშენა პირველი [illegible] ხომალდი?
5. რამდენი ძირითადი ნაწილისაგან შესდგება დანტეს ცნობილი ნაწარმოები „ღვთაებრივი კომედია" და რა ეწოდებათ მათ?

კითხვების პასუხები

№ 32 (100):

1. 1712 წელს.
2. [illegible]
3. 1810 წელს.
4. [illegible]
5. [illegible]

ჩვენი მისამართი

* მის. კ. დ—ძეს [illegible]

მის. ბ. სოჩხეთელს: [illegible]

მის. ბ. შ—ს: [illegible]

პასუხისმგებელი რედაქტორი
პაატა ვარძიელი

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
Potsdam, am Minenberg, Baracke 47.

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა

[illegible] ... 25 სიტყვით გამოცდილება ... [illegible]

გერმანელი ტყვეების დარაზმვა

[illegible]

მოგონებათა რვეული

[illegible]

26 მაისი

[illegible]

დავით ვაჩნაძე